დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის"

დირექტორის ბრძანებით

#21893 14.01.2026 წ.

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი"

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2026-2032 წლების სტრატეგია

ქ. ახალციხე

2026 წელი

შესავალი

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციები, ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და შრომითი რესურსების თავისუფალი მობილობა ფუნდამენტურ გავლენას ახდენს თანამედროვე შრომის ბაზარზე. აღნიშნული დინამიკა პირდაპირ აისახება განათლების სისტემაზე და წარმოშობს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება-გადამზადების მზარდ საჭიროებას.

ამ კონტექსტში, პროფესიული განათლების სისტემის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. იგი ორიენტირებულია როგორც ახალგაზრდა თაობის პროფესიულ ფორმირებაზე, ისე ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვაზე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სისტემა უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ვინც წარმატებით გაივლის შერჩევის დადგენილ ეტაპებს

საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს 1977 წლიდან სხვადასხვა სამრთლებრივი ფორმითა და სახელწოდებით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წელის 19 ივნისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ – კოლეჯ ,,ოპიზარის“ წესდება.
კოლეჯის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადებისა და სხვა პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.
კოლეჯში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ პირებთან. დაწესებულება აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსით, თანამედროვე სალექციო აუდიტორიებით, ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან.

მისია, ხედვა, ღირებულებები

კოლეჯის მისიაა უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს.სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში .

კოლეჯის ხედვაა 2030 წლისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად სტუდენტის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ გარემოში პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარება. კოლეჯი იყოს სამცხე-ჯავხეთის რეგიონის ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული განათლების მიმართულებით.

კოლეჯის უმთავრესი ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი და ხარისხის მაღალი სტანდარტი
- ინოვაცია და შემოქმედება
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;
- თანასწორობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა;
- მრავალფეროვანი და ინკლუზიური გარემო;
- სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება
- ტოლერანტობა

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“ მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სფეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს. კოლეჯი მუდმივად ნერგავს შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინების საფუძველზე ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს (იმიტირებული, კოოპერაციული, დუალური მიდგომით, მ.შ. „ინტეგრირებული“ სასწავლო გეგმით).

კოლეჯი ორიენტირებულია ხარისხის კულტურის დამკვიდრებასა და განვითარებაზე, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და კურსდამთავრებულთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან.

კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ კოლეჯის მრავალპროფილიანობა; ✓ ეკონომიკური განვითარების საჭიროებებზე მორგებული პროფესიები; ✓ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა; ✓ სწავლების ხარისხის მაღალი დონე, მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; ✓ პროფესიული მომზადება და გადამზადება ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის; ✓ კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო; ✓ თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალურტექნიკური ბაზა; ✓ მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, მუდმივად პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი; ✓ კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების და თვითდასაქმების მეტი შესაძლებლობა; ✓ თანამშრომლობა კერძო სექტორთან; ✓ დამსაქმებლის ნდობის მაღალი მაჩვენებელი; ✓ წარმატებული თანამშრომლობა ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ორგანოებთან; ✓ აქტიური სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტთა თვითრეალიზების შესაძლებლობა.	✓ საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობა; ✓ კოლეჯს არ აქვს კვების ობიექტი/კაფეტერია; ✓ კოლეჯს არ აქვს საერთო საცხოვრებელი; ✓ აქტივობების განხორციელებისათვის შეზღუდული ფინანს რესურსი; ✓ საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ხელს უშლის კო მიიღოს მეტი საკუთარი შემოსავალი; ✓ ადმიანისტრაციული შტატის ნაკლებობა ; ✓ გენდერული შეფერილობის მატარებელ პროფესიებზე ზეგავლენის არ არსებობა
შესაძლებლობები	**რისკები, საფრთხეები /გამოწვევები**
✓ გენდერული სტერეოტიპების დაძლევა; ✓ პროგრამებში გენდერული თანასწორობის კომპონენტის ინტეგრირების ხელშეწყობა; ✓ პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის მიზნების გათვალისწინებით მიმდინარე ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა; ✓ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემით შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვით; ✓ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; ✓ მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა; ✓ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა ახალი პროექტების განხორციელების გზით;	✓ ცვლადი გარემო/შრომის ბაზარი ✓ ეროვნულ დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის არასაკმარისი მონაცემები; ✓ შრომის ბაზრის სწრაფი განვითარება, მოთხოვნა - მიწოდებაში არაჰარმონიულობა; ✓ ცვლილებები დემოგრაფიაში, პროფესიული კადრების, მუშახელის მიგრაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ; ✓ მძიმე სოციალური პირობების შედეგად სტუდენტთა რიცხვის შემცირება ; ✓ სტერეოტიპული მიდგომები პროფესიული განათლების მიმართ ; ✓ ინფორმაციის ნაკლებობა პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ მოწყვლად ჯგუფებში (ეთნიკური უმცირესობები) ✓ ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან;

✓ სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესების ზრდა; ✓ დამსაქმებლებთან და ბიზნესთან კავშირის გაძლიერება; ✓ პროფესიული კადრების მოტივაციის გაზრდის მიზნით, პერსონალის გადამზადების საშუალება; ✓ კოლეჯში ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა; ✓ დამსაქმებელთა მხარდაჭერა და ჩართულობა პროფესიული პროგრამების შერჩევასა და განხორციელებაში, პროფესიული სტუდენტების დასაქმებაში; ✓ პროფესიული განათლების მიმართულებით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა;	✓ კერძო სექტორის პასიურობა; ✓ გაუთვალისწინებელი ფაქტორები

სსიპ - კოლეჯ "ოპიზარის" 7 წლიანი (2026-2032წწ.) სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიზანი N 1 სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი შრომის ბაზარის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული კვალიფიციური კადრების მომზადება											
ამოცანა	განსახორციელებელი აქტივობები	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რესურსი
		2026	2027	2028	2029	2030	2031	2032			
1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მათი დამატების მიზნით	1.1.1. შრომის ბაზრის მოკვლევის ჩატარება (დამსაქმებლებისა და სწავლით დაინტერესებული პირების);	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების შევსებული ცხრილები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	კვლევის ინსტრუმენტები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილის ფორმები
	1.1.2. ახალი პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამების შემუშავება/დამატება პროგრამების მოდიფიცირება შეცვლილი სტანდარტების შესაბამისად .	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შემუშავებული, დამტკიცებული პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი. სასწავლო პროცესის მენეჯერი .	საგანმანათლებლო სტანდარტები, პარტნიორი ორგანიზაციები , ადამიანური რესურსი ,პროგრამის ხელმძღვანელები .
	1.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების სამართლებრივი აქტების ოპტიმიზაცია, თვითშეფასებისთვის და ავტორიზაციის პროცედურების გავლის	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განახლებული სამართლებრივი აქტები,	ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი	არსებული სამართლებრივი აქტები, პროფესიული სტანდარტის დაცვით შემუშავებული დოკუმენტები .

	მიზნით.										
1.2. პროფესიული განათლების, მათ შორის სრული ზოგადი განათლების ინტეგრირებით ,დაინტერესებული პირების, ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის ზრდა სხვადასხვა მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე	1.2.1. პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამების დანერგვა / განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში სასწავლო პროცესი	მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი.	სასწავლო სივრცეები(A,B,C გარემოები), სასწავლო ცხრილები და პროფესიული განათლების მასწავლებლები, დაფინანსება.
	1.2.2. ინტეგრირებული პროგრამების დამატება/დანერგვა - პროგრამების მოდიფიცირება შეცვლილი სტანდარტების შესაბამისად .		✓	✓		✓	✓	✓	შემუშავებული, დამტკიცებული ინტეგრირებული პროგრამები	მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი.	შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო სივრცეები ინტეგრირებულის თვის ლაბორატორია, ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები, დაფინანსება .

1.3. პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირებისთვის მოქნილი და კვალიფიციური მოკლევადიანი პროფესიული	1.3.1. ახალი მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დამატება და დანერგვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შემუშავებული დამტკიცებული მოკლევადიანი მომზადება გადამზადების პროგრამები .	მოადგილე ზდასრულთა განათლების კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი .	მოწყობილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინს ტრუქტორი, დაფინანსება .

მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა .	1.3.2.არაფორმალური განათლების მიმართულებით მოკლევადიანი სასწავლო კურსების შემუშავება/დანერგვა			✓	✓	✓	✓	✓	შემუშავებული შიდა სასერთიფიკატო მოკლევადიანი სასწავლო კურსები	მოადგილე , ზდასრულთა განათლების კოორდინატორი,ხარისხის მართვის მენეჯერი	მოწყობილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი, სწავლის მსურველები, კოლეჯის არასაბიუჯეტო შემოსავლები .
სტრატეგიული მიზანი N2 კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით											
2.1. კოლეჯის ცნობადობის ზრდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	2.1.1. კოლეჯის ვებგვერდის განახლება (სისტემატიურად)	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განახლებული ვებ გვერდი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ITსპეციალისტი ,ადმინისტრაცია.	ინტერნეტი, ვებგვერდი, კოლეჯის შემოსავლები
	2.1.2. ტრადიციული მედიით გაშუქების უზრუნველყოფა (TV, გაზეთი, ჟურნალი) .	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მედიასთან თანამშრომლობის დამადასტურებელი მასალა - გაკეთებული რეკლამა, ვიდეორგოლი და ა.შ.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.	კოლეჯის ადამიანური რესურსი კოლეჯის შემოსავლები .
	2.1.3. სოციალური მედიის აქტიური გამოყენება (Facebook, Google, office 365 ads, Tik Tok, WhatsApp და სხვ.)	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	კოლეჯის სოციალური მედიის გვერდებზე განთავსებული მასალა .	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.	ინტერნეტი, სოციალური გვედები, კოლეჯის ადამიანური რესურსი

2.2.სხვადასხვა სექტორთან ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის თანამედროვე პრაქტიკების დანერგვა	2.2.1. საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა/ განხორციელება			✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული საერთაშორისო პროექტები	მოადგილე, ადმინისტრაცია.	გამოცხადებული საერთაშორისო პროექტები, კოლეჯის ადამიანური რესურსი, პროექტის დაფინანსება
	2.2.2. ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა/განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული ადგილობრივი პროექტები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. სტუდენტური სერვისების სპეციალისტი.	გამოცხადებული ადგილობრივი პროექტები, კოლეჯის ადამიანური რესურსი, პროექტის დაფინანსება
	2.2.3. პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ბიზნეს, არასამთავრობო და საჯარო სექტორთან ერთობლივი პროექტების განხორციელება კოლეჯებთან უნივერსიტეტებთან ბიზნესთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად (ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები;)	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული ერთობლივი პროექტები	მოადგილე პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი , საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. სტუდენტური სერვისების სპეციალისტი.	პარტნიორი ორგანიზაციები, ერთობლივი პროექტები. პროექტების დაფინანსება .

2.3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში	2.3.1. საინფორმაციო კამპანიების განხორციელება პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციისთვის - საჯარო სექტორთან თანამშრომლობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	საინფორმაციო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ფოტო-ვიდეო მასალა; საჯარო სკოლებში განხორციელებული ერთობლივი პროექტები	დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; საზოგადოებასთნ ურთიერთობის მენეჯერი	პროფ/საგანმ. პროგრამები, სწავლის მსურველები, დამსაქმებლები, რეგიონის საჯარო სკოლები, პროექტების დაფინანსება
	2.3.2. პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საერთო საინფორმაციო კამპანიების წარმოება სწავლადასაქმების მიმართულებით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	პარტნიორი ორგანიზაციები - განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, ხარისხის ეროვნული ცენტრი მიერ გაკეთებული საინფორმაციო ვიდეო რგოლები,	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	პარტნიორი ორგანიზაციები ,პარტნიორი ორგანიზაციების დაფინანსება.
	2.3.3. პროფესიული განათლების სისტემაში ინტეგრირების მიზნით სკოლის მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების კურსების შექმნა.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	არაფორმალური კურსები	დირექტორი, კურსის განმახორციელებლები	კოლეჯში არსებული მატერიალურტექნიკური ბაზა კოლეჯის შემოსავლები

	2.3.4. კონკურსების და მსგავსი ღონისძიებების მოწყობა (კონკურსი, კონფერენცია, გამოფენა და ა.შ.) პროფესიული განათლების შესახებ.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატარებული კონკურსების, კონფერენციის და სხვა სტუდენტური აქტივობების დამადასტურებელი მასალა/ ანგარიში	მოადგილე , პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; საზოგადოებასთნ ურთიერთობის მენეჯერი.	კოლეჯის ადამიანური რესურსი, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, კოლეჯის შემოსავლები
სტრატეგიული მიზანი N3 საგანამანთლებლო პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფა ექსტრაკურიკულული სტუდენტური განვითარების გზით											
3.1. სტუდენტების ჩართულობისა და ინფორმირებულობის დონის ზრდა კოლეჯის საქმიანობაში	3.1.1. სტუდენტების საჭიროებების კვლევა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შევსებული კითხვარები და ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების სპეციალისტი.	შემუშავებული გამოკითხვის ფორმები.
	3.1.2. სტუდენტების საჭიროებების შესაბამისი სერვისების განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	საჭიროებების კვლევის ანალიზის დოკუმენტი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების სპეციალისტი .	საბიუჯეტო დაფინანსება, კოლეჯის შემოსავლები .
	3.1.3. სსსმ/შშმ პირების უზრუნველყოფა სწავლის თანაბარი პირობებით, ასისტენტებითა და სპეციალისტებით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები, შეფასების ინსტრუმენტები	ინკლუზიური განათლების სპეციალისტი	ინფრასრუქტურა, შესაბამისი ადამიანური რესურსი ,საბიუჯეტო დაფინანსება,

	3.1.4. სტუდენტური იდეების მხარდაჭერა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული სტუდენტური იდეების შესახებ დოკუმენტაცია	მოადგილე, სტუდენტური სერვისების სპეციალისტი,	ფაბლაბი, ადამიანური რესურსი, ტექნიკური რესურსი კოლეჯის შემოსავლები
3.2. მრავალფეროვან სტუნდენტურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა	3.2.1. სტუდენტური ექსკურსიებისა და წამახალისებელი ღონისძიებების	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატარებული ღონისძირებებ ი ს	სტუდენტური სერვისების	პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაცია,
პროფესიული სტუდენტებისთვის	მოწყობა (მაგ. ერთდღიანი გასვლები, საველე ბანაკები, ფილმის ჩვენებები, ჰაკათონი, საჯარო ლექციები, სამუშაო შეხვედრები)								დამადასტურებელი მასალა	სპეციალისტი	კოლეჯის შემოსავლები
	3.2.2. სამეწარმეო პრაქტიკული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის		✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატაარებული ტრენინგების შესახებ ანგარიში.	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,	ტრენინგის მასალები, ადამიანური რესურსი და კოლეჯის შემოსავლები
სტრატეგიული მიზანი N4 პროფესიული სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების კარიერული განვითარების ხელშეწყობა											
4.1. სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება ინფორმირებული პროფესიული არჩევანის გაკეთების თვალსაზრისით	4.1.1. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ჩატარებული შეხვედრები	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთნ ურთიერთობის მენეჯერი.	კოლეჯის ადამიანური რესურსი, საინფირმაციო ბუკლეტები, კოლეჯის შემოსავლები .

	4.1.2. ექსკურსიების მოწყობა სკოლის მოსწავლეებისთვის კოლეჯში .	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	სკოლის მოსწავლეების ექსკურსიების დამადასტრუებელი ფოტო/ვიდეო მასალა განთავსებული კოლეჯის სოციალურ ქსელებში.	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,	კოლეჯის ადამიანური რესურსი, კოლეჯის სოციალური არხები .

	4.1.3. სკოლის მოსწავლეებთან პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ანგარიშები განხორციელებულ აქტივობებზე სოციალ არხებში განთავსებული ფოტო ვიდეო მასალა	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ადმინისტრაცია ,საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,	ბენეფიციარი სკოლები პროექტების ფარგლებში
	4.1.4. პარტნიორ ორგანიზაციებთან/ში შეხვედრების მოწყობა სტუდენტებისთვის	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	პარტნიორ ორგანიზაციებთ ან/ში სტუდენტების ექსკურსიების დამადასტურებელი მასალა	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,	ორგანიზაციები, სტუდენტები, მემორანდუმები/ხელშეკრულებები კოლეჯსა და ორგანიზაციებს შორის.
	4.1.5. კურსდამთვრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მოკვლევის მასალები, ანალიზის დოკუმენტი	პროფორიენტაციის ა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი,	კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის კითხვარი.
სტრატეგიული მიზანი N5 კოლეჯ „ოპიზარის“ განვითარების ხელშეწყობა											

5.1. კოლეჯის სასწავლო პროგრამების ხარისხის განვითარება	5.1.1. სამოქმედო გეგმების ანგარიშების მომზადება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მომზადებული შუალედური და წლიური ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი	მიმდინარე პროცესების შეფასების ანგარიშები
	5.1.2. ხარისხის შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ხარისხის მართვის მენეჯერის შუალედური და საბოლოო ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პრ. მონიტორინგის სპეციალისტი	ანგარიშები
	5.1.3. თვითშეფასების ანგარიშის მომზადება		✓			✓		✓	თვითშეფასების ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	მიმდინარე დოკუმენტაცია

											თვითშეფასებისთვის
	5.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ვერიფიკაცია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ვერიფიკაციის დოკუმენტაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი,	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების/ვერიფიკაციის დოკუმენტაცია
	5.1.5. სასწავლო რეგულაციების მონიტორინგი, შეფასება და რეკომენდაციების მომზადება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი	სასწავლო რეგულაციები
	5.1.6. საავტორიზაციო განაცხადის გაკეთება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	რეავტორიზაციის და/ან პროგრამის დამატების განაცხადი	ხარისხის მართვის მენეჯერი,	დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამები
	5.1.7. მატერიალურ ტექნიკური ბაზის მონიტორინგი და შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მატერიალურტექნიკური ბაზის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი	ხარისხის მართვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი .	დოკუმენტაცია

	5.1.8. მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მონიტორინგი და შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მონიტორინგის ანგარიში	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	მოკვლევის ინფორმაცია.
	5.1.9. საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი და შეფასება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მონიტორინგის დოკუმენტაცია	სასწავლო პროცესის მენეჯერი. ხარისხის მართვის მენეჯერი.	მონიტორინგის დოკუმენტები

	5.1.10. პროცესების ვერიფიკაცია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი,	ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა და ვერიფიკაციის ფორმები
5.2 კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება	5.2.1. ადამიანური რესურსის - პროგრამის / მოდულის განმახორციელებლების მოძიება.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მოძიებული ადამიანური რესურსები, გაფორმებული ხელშეკრულებები	მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, იურისტი.	საგანმანათლებლო პროგრამები, არსებული ადმინისტრაციულ ი პერსონალი, შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსის გამოცხადების დოკუმენტაცია
	5.2.2. თანამშრომლების შეფასების სისტემისა და წესის გადახედვა .	✓			✓			✓	განახლებული თანამშრომლებ ი ს შეფასების სისტემა	მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, იურისტი.	არსებული შეფასების სისტემა

	5.2.3. თანამშრომელთა შეფასების განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	ანგარიში განხორციელებული შეფასების შესახებ, რეკომენდაციებით	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, იურისტი.	არსებული შეფასების ფორმები
	5.2.4. თანამშრომლეთა პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი,	თანამშრომელთა გამოკითხვის ფორმები
	5.2.5. თანამშრომელთა პროფესიული და პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორცელებული ტრენინგები	დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი,	ადამიანური რესურსები, კოლეჯის შემოსავლები. ბიუჯეტის თანხა .
5.3 კოლეჯის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება	5.3.1. წლიური ბიუჯეტის თანამშრომლებთან ერთად დაგეგმვა და პროგნოზის შემუშავება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	წლიური ბიუჯეტი	დირექტორი, დირექტორის მოადგილე , ფინანსური მენეჯერი.	საბიუჯეტო დაფინანსება
	5.3.2. წლიური ფინანსური ანგარიშის მომზადება სტანდარტების შესაბამისად	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიში	ფინანსური მენეჯერი	ანგარიშის დოკუმენტაცია
	5.3.3. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება			✓	✓	✓	✓	✓	ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი, ფინანსური მენეჯერი.	მარეგულირებელი წესი, დოკუმენტაცია
	5.3.4. დამატებითი დაფინანსების მოძიება დონორებისგან	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხორციელებული პროექტები	დირექტორი, ფინანსური მენეჯერი.	დონორი ორგანიზაციები

5.4. კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარება	5.4.1. კოლეჯის აღჭურვა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	აღჭურვილი სასწავლო სივრცეები	დირექტორის მოადგილე შესყიდვების სპეციალისტი.	ფინანსები(საბიუჯეტო, საკუთარი შემოსავლები, დონორი ორგანიზაციები)
	5.4.2. სტუდენტური სივრცეების განახლება/მოწყობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	მოწყობილი სტუდენტური სივრცეეები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე , ლოჯისტიკის სპეციალისტი.	შესაბამისი სივრცეები
	5.4.3. მწვანე სივრცეების განახლება.	✓			✓				მოწყობილი და განახლებული მწვანე სივრცეები	სტუდენტური სერვისების სპეციალისტი; ლოჯისტიკის სპეციალისტი.	კოლეჯის საკუთრებაში არსებული ტერიტორია, კოლეჯის შემოსავლები .
	5.4.5. სახელოსნოებთან მისასვლელი გზის მოწყობა	✓							სახელოსნოებთან მისასვლელი მოწყობილი გზა	დირექტორი ,დირექტორის მოადგილე , შესყიდვების სპეციალისტი.	კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ფართი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მიღებული დაფინანსება.

საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

მის.: ქ.ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ# 111

ელ. ფოსტა: opizari2011@gmail.com ვებგვერდი: http://opizarivet.ge/

https://www.facebook.com

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი"